

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

(ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში)

დ. ლენტეხი

----- 2019 წელი

ერთის მხრივ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია ' (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი მერის ბადრი ლიპარტელიანის სახით და მეორეს მხრივ „-----“ (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი ----- სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და პრეტენდენტის (დასახელება) სატენდერო წინადადების საფუძველზე, შემსყიდველის მიერ ჩატარებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადება N) შედეგად დებენწინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

.1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) -

შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე

თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც

უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების

სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული

ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „მოსაწოდებელი საქონლის სპეციფიკაცია და ტექნიკური პარამეტრები“ – მიმწოდებლის მიერ

ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი საქონლის სპეციფიკაცია და ტექნიკური

პარამეტრები (დანართი N1).

1.8. „ფასების ცხრილი“ – მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილი (დანართი N2).

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანი განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით, კერძოდ:

„მოსაწოდებელი საქონლის სპეციფიკაცია და ტექნიკური პარამეტრები“ - დანართი N1-ისა და

„ფასების ცხრილი“ დანართი N2-ის შესაბამისად, რომლებიც შემდგომში თან ერთვიან

ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს.

2.2 კლასიფიკატორის კოდი: CPV 16700000 – ტრაქტორები;

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ---- (-----) ლარს, დღგ-ს -----.

3.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მოწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე.

4.2. წარმოდგენილი სატენდერო წინადადების მიხედვით მომწოდებელი საქონლის მიწოდებასა და

ექსპლუატაციაში გაშვებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი)

კალენდარული დღის ვადაში.

4.3. საქონლის მოწოდებას, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოში გადაფორმებასა და ექსპლუატაციაში

გაშვებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს საკუთარი ხარჯებით.

4.4. დ.ლენტეხი(თამარ მეფის ქუჩა N24_(

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.2. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით შედგენილი ექპერტიზის დასკვნისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

5.4. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს შესაბამის დოკუმენტაციას დაწუნებული საქონლის

რაოდენობისა ან/და წუნდების მიზეზის მითითებით, რასაც წერილობითი სახით აცნობებს მიმწოდებელს.

6. ანგარიშწორების ფორმა,წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

6.2. ანგარიშწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. მხარეთა უფლება მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მოწოდებისას აცნობოს მომწოდებელს ყველა

განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;

გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მოწოდებული საქონლის ღირებულება.

7.3 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მომწოდებლის მიერ ხელშეკრულების

პირობების დაცვაზე;

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდა;

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

ბ) დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) საქონლის მოწოდებისას რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

7.5 მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მოწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება.

8. გარანტია

8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მოწოდებული საქონლის საგარანტიო ვადაა -----

8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს, საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს და საერთაშორისო სტანდარტებს.

8.3. 8.2. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია 5.5. პუნქტით განსაზღვრული შეტყობინების მიღებისთანავე

განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8.5. მიმწოდებლის მიერ 8.4. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის ექსპლუატაციის

პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის ან/და წუნდებული საქონლის შეცვლისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხარჯების ანაზღაურება, ან ეს თანხა გამოქვითოს

ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

9.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლები.

9.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად, შემსყიდველის

შეხედულებისამებრ.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1% პროცენტის ოდენობით.

10.2. შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების

პირობების შეუსრულებლობისათვის და დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ფორს მაჟორი

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

11.3. თუ მხარე ფორს-მაჟორის გამო ვერ ასრულებს ვალდებულებებს, მან ამის შესახებ

დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს

აღნიშნული გარემოების დადგომის (დასრულების) შესახებ.

11.4. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე არ გათავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.5. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება ფორს-მაჟორის მოქმედების

დასრულებისთანავე.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელს მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს

ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

13.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

13.5. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის

შესახებ თუ ხელშეკრულება შეწყდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ან პირობების

შეუსრულებლობის გამო მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

13.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი

არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით

შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში

მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.3. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და

ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

15.4. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის

მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის

შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება

ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

15.5. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

15.6. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება მხარეებთან.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის ----- ჩათვლით.

16.2. ხელშეკრულების 16.1. პუნქტით განსაზღვრული ვადა არ ვრცელდება ხელშეკრულების 8.1. პუნქტით განსაზღვრულ საგარანტიო ვადაზე.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია

მისამართი: თამარ მეფის ქუჩა N24

საიდენტიფიკაციო კოდი: №234065560

ტელეფონის ნომერი: 599 10 29 28

საბანკო რეკვიზიტები:

ბანკის კოდი: TRESGE22

ანგარიშის ნომერი: 300313150
